ლუიზა პაპალაშვილი, ჟანა პეტრიაშვილი

კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტი, რუმინეთი

Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის დეპარტამენტის წარმომადგენლები, ლუიზა პაპალაშვილი და ჟანა პეტრიაშვილი იმყოფებოდნენ რუმინეთში, ოვიდიუსის უნივერსიტეტში.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა გაცნობითი და სამუშაო შეხვედრა უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. მათ შორის ხარისხის დეპარტამენტის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილობრივი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის წარედგინათ კავკასიის უნივერსიტეტი, მიმდინარე მიღწევები, საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებები და სამომავლო განვითარების გეგმები.

შეხვედრების ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორს, რომელმაც დეტალურად გააცნო უცხოელი სტუდენტების მიღებისა და ინტეგრაციის პროცესები, საერთაშორისო პროგრამების ადმინისტრირების მექანიზმები და უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ასევე, გაიმართა შეხვედრები ფსიქოლოგიისა და ენების ფაკულტეტის (Faculty of Letters) წარმომადგენლებსა და დეკანატთან, სადაც განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, აკადემიური თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების საკითხები. გარდა ამისა, შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის კვლევითი მიმართულების წარმომადგენლებთან, რომლებმაც წარმოადგინეს მიმდინარე კვლევითი პროექტები, სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და კვლევების მართვის პროცესები.

ვიზიტი, ასევე, მოიცავდა უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი ბიბლიოთეკისა და „ამერიკული კუთხის“ მონახულებას. მონაწილეებმა დაათვალიერეს აუდიტორიები და სასწავლო სივრცეები, მათ შორის სამედიცინო სასწავლო სივრცეები და გაეცნენ თანამედროვე სამედიცინო მულაჟებს, რომლებიც პრაქტიკული სწავლების პროცესში გამოიყენება.

ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პროცესებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ხარისხის გაუმჯობესებას.